


645  
1987

ISSN 0013-788X



10  
1987



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია



ენველის ჰიდროელექტროსადგურის № 8 ელექტროლაბორატორიის  
ინჟინერი ქულიბა ვეშაპური.

დ. იაქოშაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის  
უცვლელი წევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხა-  
ტრულ-ლიტერატურული ფურცალი.



«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический  
и художественно-литературный журнал  
ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)



ქართველის დედას

აწმყო, შობილი წარსულისაგან,  
არის მშობელი მომავლისა.  
ლიბნიცი

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა  
უწინ მამულსა უწრდიდა შევილსა;  
დედის ნანასთან ქვითინი მთისა  
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...  
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნადველმა,  
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,  
სრულად მოგვკლა სიცოცხლის ძალა,  
თვით შენი შევილიც ჩრდილად  
შეცვალა.

მითხარ, — სადღა მამა-პაპური  
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,  
სახელისათვის ამაყი თრთოლა,  
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?  
მას ნუღარ ვსტირით, რაც

დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით  
დანიჭმულა;  
მოვკლათ წარსულ დროებზედ  
დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა  
ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი  
ხალხს...

აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალის  
აღწარდე შეილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა  
მცნებას, —

შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მომავლისთვის ბედთანა

ბრძოდეს...  
მენდე, მიიღებ ნერგს შენგან  
დარგულს;  
და მოგვეცემს ნაყოფს, ვით კაცი  
კაცურს.

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შევილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

პაქ. სსრ. კ. შარქისის  
სახ. სახ. ნაქაობ.

# ილია-ერის ბერძენსა

ილიას სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-19 საუკუნის მესხეთის სახალხო განათლების ისტორია. ილია, რომელმაც „სიკვდილამდე უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა“, მოსარჩელე გახლდათ დაკნინებული მესხეთის მოსახლეობისა, რადგან უკეთესობა და ქრისტიანული განუკურნებელი კრილია საქართველოსი. ახლად შემოერთებულ ნაწილში ქართული ენის დაკარგვის საშიშროება იგრძნობოდა. ამ გარემოებამ დააწერინა ილიას „ქვეთა ლაღლი“, „ოსმალის საქართველო“ და მიზნად დაისახა ურღვევი კავშირის დამყარება სულიერი მტერთან. მას აზინებდა მესხეთის მხარის სარწმუნოებრივი დაქსაქსულობა და მის დაღწევას სახალხო განათლების გავრცელებით ფიქრობდა. „ენა ფუტეა ერისაო“ და ილიამ მესხეთის ქრისტიან და მამაიდან ქართველთა შორის დედა ენის განმტკიცება და მის ნიადაგზე ქართული სულის გაღვივება მიიჩნია მხარის შემობრუნების რეალურ საფუძვლად.

მხარეში მთლიანად გაუჩინებლობა სუფევდა. მთავრობის მიერ გახსნილი თითო-ორთა სკოლა სკამად დიდად იყო დაშორებული იმ პრინციპებისაგან, რაზეც ილია ფიქრობდა. საჭირო იყო ეროვნულ მისწრაფებებზე დაფუძნებული სახალხო სკოლების დაარსება.

ახლადშექმნილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უურადგება სწორედ მესხეთს მიაკცია. სკოლებში ეროვნული ენა უნდა ყოფილიყო სახარო და საშუალება სწავლებისა, მასწავლებელი კი ქართველი. ასეთი იყო ილიას აზრი; მან მჭიდრო კავშირი დამყარა მესხეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აგენტებთან: ო. ალექსი-მეხხი-

შვილთან, ი. ლაზიშვილთან, ც. ბაგრატიანთან, ივ. გვარამაძესთან, ვ. კობახიძესთან და სხვებთან, რომლებსაც ილიას მითითებით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან შეწირული წიგნები მიამკნადათ მესხეთში და აწვდიდნენ მთავრობის მიერ დაარსებულ სკოლებს. 1881 წლის სექტემბერში ილიას დავალებით ახალციხის სწევვა ზაქარია ჭიჭინაძე, ახალქალაქისაკენ მიმავალი შესულთა ხერთვისის მამამაიანურ სკოლაში, სკოლა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ ეუფთვნოდა და ამ საზოგადოების სხვა სკოლების მსგავსად აქაც არ იყო მიღებული ქართულის სწავლება. მასწავლებელ გრ. გეგეძეს უთქვამს: ბავშვებს ეხალისებო ქართულის სწავლა და წიგნი რომ არა ვაკაქს, ვეწვადებით და ხელნაწერებით ვასწავლითო. მამინ უგრძენია ზ. ჭიჭინაძეს, რა განძიც მიქონდა და ამ მხარის სკოლებისათვის (ეს იყო ილიასგან სკოლებში დასარიგებულად გატანილი სახასამდე ქართული წიგნი).

ი. ჭიჭინაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „ქალთა, ანუ დედობას“ საქმეს, ქალის განათლებას, მის მოღვაწეობას. საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისაკენ, აქტიურობისა და გამოღვივებისაკენ მოუწოდებდა ყველა ქართველ ქალს. მან იაკობ გოგებაშვილთან ერთად დიდი მატერიალური და სულიერი დახმარება გაუწია ახალციხის რაზმის ქალთა პროფესიულ უფასო სკოლას, რომელიც დარბი ოჯახიდან გამოსულ გოგონებისათვის იყო განკუთვნილი.

1900 წლის დეკემბერში აღნიშნული სკოლის გამგე ალ. ფრონელი (უიფშვი) ილიას წერს: „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების ქრე-

ბამ გადაწვიტა თქვენი საზოგადოების წევრს ბატონ ი. გოგებაშვილს პრესის საშუალებით გამოუცხადოს მადლობა, რომ შემოსწორა სკოლას 80 „ბუნების კარი“; იმედი მაქვს თქვენც არ დაიზარებთ ჩვენითვის დახმარებას, რჩევის მოცემას, გამოვიგზავნეთ უპირველეს ყოვლისა ინტელექტულები, საბელმძღვანელოები, სასწავლო გეგმა, თეორიული განმარტებანი და სხვა. აზრად მაქვს მეც სკოლის ისტორია დავებულო და იქნებ, რომ გაიგებენ ამ სკოლის არსებობას, დახმარებას აღმოვიჩინენ მანდალთა ქართველები. ეს სკოლა ერთადერთი წელდება აქაური დაქარალი ქართველებისა. თქვენს დახმარება ველოდებით ამ მხრივ“. ილიას ამ წერილის შემდეგ ჭერ სამაის, შემდეგ ქ. ორბის მანეთი გამოუყვია სათავადანაწარმო ბანკიდან სკოლის შენობისათვის. ამასთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოების ხარჯზე გაუზავანია წიგნები და საჭირო დანადგარები.

გარდა იმ დიდი უურადღებისა, რასაც ილია მესხეთის სკოლებსადმი იჩენდა, უნდა აღინიშნოს მისი დიდი დეწული ახალციხის მაზრის ქართველი მოსახლეობისათვის ბიბლიოთეკა-სამკითხველთა გახსნის საქმეში. ახალციხეში შუა საუკუნეებიდანვე არსებობდა მთელს მიმდრკავისაში ცნობილი ბიბლიოთეკა, მაგრამ მოკვანებით იგი განადგურდა და განივდა.

1895 წლის მარტში შეიკრია ახალციხის მოწინავე ინტელექტუალი. შტერბაზე წამოიჭრა საკითხი ქართული ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ, რადგან ქალაქის საზოგადოებამ მწვედვად განიცდიდა ქართული წიგნის უქონლობას. თბილისში საგანგებოდ ჩასულმა დ. ხაბუტაშვილმა პირადად ინახულა ქართველთა შორის


წერა-კითხვის გამარჯვებულთა საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი და ახალციხელთა სურვილი გააცნო. დ. კარიჭაშვილმა ახალციხელთა თხოვნა მოახსენა გამგეობის თავმჯდომარეს ი. ჭავჭავაძეს. ილია გულისხმიერად შეხვდა ამ წინადადებას. 28 მარტს გამგეობის სხდომაზე განიხილა ახალციხელთა დაცვადაცვა და დასვა საკითხი დადებითად გადაწყვეტილებით თხოვნა. მისივე უშუალო მონაწილეობით დამტკიცდა ბიბლიოთეკის ხარკთაღრიცხვა, რაც ქართველი კლასიკოსების წიგნებთან ერთად პუშკინის, ტოლსტოის, დონსტოვის და სხვათა ნაწარმოებების ქართული გამოცემების შექმნასაც ითვალისწინებდა. ბიბლიოთეკის საქმიანობის ნორმალური წარმართვისათვის შეიქმნა საექსპლუორი კომიტეტი, რომელიც ბიბლიოთეკას უზრუნველყოფდა ყოველი ახალი გამოცემებით.

27 აგვისტოს ახალციხის ძველ ნაწილში, რაბათში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბიბლიოთეკა. ეს იყო წერა-კითხვის გამარჯვებულთა საზოგადოების მიერ ილიას ხელმძღვანელობით დაარსებული ქართული სახალხო ბიბლიოთეკა, რიგით მესამე თბილისის შემდეგ. ბიბლიოთეკა-სამეცნიერელოს გამგეს კ. მეფისაშვილს მუდმივი ურთიერთობა შექმნა ილიასთან, წერდა ყოველი საჭიროების შესახებ და აგრეთვე აცნობდა, თუ რა კმაყოფილი იყო საზოგადოება ილიას მადლისა. ახალციხელები (განურჩევლად სარწმუნოებისა), თხოულობდნენ და ხარბად ეტანებოდნენ ყაზბეგის, ილიას, აკაისა და სხვათა თხზულებებს. ერთი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას 151 მუდმივი მკითხველი ჰქავდა. ბინაზე 800-ზე მეტი წიგნი გასცა, ხოლო სამეცნიერელო დარბაზით 225 მკითხველს მოემსახურა.

ასე თანდათან დგებოდა შემობრუნების გზაზე ყოფილი „სამაღლის საქართველოს“ ქართველობა, იღვიძებდა ეროვნული სული, რაშიც უშუალო წვლილი დიდმა ილიამ და მისმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარჯვებულთა საზოგადოებამ შეიტანა.

**ნაწილ სულაძემ**

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მცენარე თანაშრომელი.



ახე აღნიშნულნი ილიას საზოგადოებრივი ცენტრის წევრები.

# გოჭიძენასული

შეცხრაშემდეგ საუკუნის უდიდეს სიკეთედ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ საუკუნეში საქართველოს მოთვლინად ერის დიდი მოჭირნახულე და წინამძღოლი — ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქართველი ერის აღორძინებას და საფუძველი გაუმაგრა მის ასუბობას. მან თეორიულად თუ პრაქტიკულად ყველა სასიკეთო საქმიანათვის გაიღო წვლილი; არ დაზოგა ფიზიკური და სულიერი ძალები, რომ უფსკრულის პირას მისული საქართველო და ქართველი ერი გადაეჩინა, სწორ გზაზე დაეყენებინა. ახლა ლიტერატურული შემოქმედებას ვინ მოსთვლის, რამდენი თაობა ეზიარა მის უძველეს „გლახის ნამბობს“, „განდეგილს“, „ოთარაანთ ქვრივს“. თუ კესოს ცრემლი, ავტორის აზრით, მოიტანდა ტვის და სოფილიშვილით შეიერთებდა ორ სოციალურ ნაპირს, — სამაგიეროდ, პეპიას და თაბროს სიბრალულით ჩამოედინილი ცრემლები მკითხველის სულში ამკვიდრებდა ადამიანურ სიწმინდესა და სათნოებას. ჩვენი პიროვნების განსაწმენდად სამაგიეროდ და მისამაძია ოთარაანთ ქვრივის გიორგი, მწუხარების უამს კი არ შეიძლება არ მიმართო გულში ჩამწვდომი ლექსის სტრიქონებს: „ჩემი კარგო ქვეყანა, რაზედ მოგოყენია, აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენი“. ამ იმედით ცოცხლობდა საქართველო.

საქართველოს ღვთით მომადლებული არც სიღამაზე აყლდა, არც სიმდიდრე, როგორც ილია ბრძანებდა, არც ხალხი იყო უხვირო, ძალღონე მოსდევდა, ხალხის არ აყლდა, მაგრამ მაინც სიღარიბე მძვინვარებდა საქართველოში.

კიდევ რაღაცა უნდოდა ქართველ ერს. რაღაცა აყლდა, რომ საქართველოს სიმდიდრე უქმდა არ დარჩენილიყო. მაინც რა აყლდა ქართველ ხალხს, რა იყო მიზეზი ამ სიღარიბისა? მიზეზს ილიამ მიაგნო თავისი გამჭირაბი გონებით. მისი აზრით ცოდნა აყლდა ქართველ ხალხს. არ იცოდნენ სადა რა სიმდიდრე ჰქონდათ მიწის გულში, ან რა ხერხით უნდა ამოეღოთ ეს განძი. მაგრამ საიდან უნდა მიეღოთ ეს ცოდნა ქართველებს? ამისათვის ილია საჭიროდ თვლიდა გახსნილიყო სამეურნეო სკოლები, სადაც ისწავლიდნენ ქარ-



კახიანი დილუჩიანი



თვალე ჟამწვილები და დაეუფლებოდნენ ისეთ ცოდნას, რომ დღემდე მწერს გულში ჩაიხედავდნენ, გაიგებდნენ, სად რა სიმდიდრე იყო და რა ზეიხით შეიძლებოდა მისი მოპოვება.

ილია წინამძღვრიანთკარსი მიერ წინამძღვრიანთკარსი დაარსებული სამეურნეო სკოლის გახსნას დიდი სიხარულით შეხვდა ილია ჭავჭავაძე. თავისი თვლით ნახა ქვეტყობის პატარა შენობა, წინ გაშლილი რამდენიმე დესტინი მწერს საცდელი ნაწევით, სათბური, ფსტერიის გეგმავალი, მთავარი საქმის ცოდნით მოვლული, მოწყობილი. შეგორდებივ მოეწონა ილიას, მათმა ფიზიკურმა და სულიერმა სიჭაბუკემ გულს იმედი ჩაუხაზა. „აი სად და ვისი ხელით აინთება ის სსიხარული სანთელი, რომლის სინათლეს მტერს დააფრთხობს და მოყვარებს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვია“, — თქვა სამეურნეო სკოლის გახსნაზე ილია ჭავჭავაძემ. მაგამ რაკა კიდევ უფრო კარგად შეიცნო სკოლის გარემოება, ილიამ დიდი მოვალეობა იგრძნო სკოლისა და მისი დამაარსებლის წინამძღვრიანთკარსის მიმართ.



„ბ-ნი ილია წინამძღვრიანთკარსი იმოდენად თავადებულა ამ საქმეზედ, რომ თავის უხვარო ჭაფას და საქმის სიყვარულით გაძლიერებულს მხნეობა არ მოაკლებს თავისი თაოსნობით გამართულს და თავის ძალიანთი გაზრდილ საქმესა, მაგრამ ჩვენ მიერაც ხელის მიწვდენა უნდა, შევლა უნდა“, — ამბობს ერთ თავის წერილში ილია ჭავჭავაძე: „წინამძღვრიანთკარსის ქართული სამეურნეო სკოლა“.

ამ მარტოხელა კაცის სახსრებო როგორ უნდა იარსებოს სკოლამო, სხვებმაც უნდა ვავილოთ შეაწირავიო, — ამბობდა ილია და სკეროდა, ამზე უარს აპირენ ოჯახოდა.



ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, ყოველ დიდ საქმეს გულითადად ზედებოდა, ეხმარებოდა, ხელს უწყობდა. საქართველოსთვის არაფერს იშურებდა.

თუ გულდასმით ჩაუვკვირდებით მის ფიქრებსა და დეებებს, მივხვდებით, რომ ახლაც მხარში გვიდგას დიდი ილია. რასაც მაშინ ხალხს ურჩევდა, არანაკლებ საჭიროა ჩვენთვის დღესაც: ხომ დიდად მნიშვნელოვანია პროფტექნიკური სკოლები? თითქოს აწაც ილია გვყარნახობს, გვეხმარება, ჩვენს ახლის არის და გაასწავლის, ხელს გვიწვდის, რომ სწორ გზას არ ავიცდეთ. ღმერთმა ნუ მოგვიშალის დიდი ილიას ფიქრებთან და დეებთან სიახლოვე!




150

25-10



„ამთი აღმართი“



„არაქვანი“ სურათი და ეტიკეტი



„ბავშვის ნახევარი“  
პ. გიორგის ნახევარი



# მარჯორი უორდროპის მემორიალი ილიას ოჯახთან



XIX საუკუნის II ნახევარში საგარეო სამართლებრივ საკითხებში დატვირთული საჯარო მოხელის საზოგადოებრივ ცხოვრებას. რუსეთსა და საზღვარგარეთ ვაჭრობის საქართველოს ცხოვრების, ქართული მწერლობისა და კულტურის შესწავლის სურვილი.

ქართული ლიტერატურით დაინტერესებული სტუმრების მიღება, მათთვის საქართველოს ცხოვრების უშუალოდ გაეცნობა წილად ზედა ქართული ინტელიგენციის შეთავაზებით ილია ჭავჭავაძის, სტუმრების მისაღებად ილიამ საგურამოს სახლი აირჩია. ნატივზე გემოვნებით აგებული ილიას საგურამოს სახლს იმ ხანებში

არ აცდენია არც ერთი ცნობილი მოღვაწე თუ მოგზაური უცხოეთიდან.

უცხოეთიდან საქართველოში ჩამოსული სტუმრები იხილებოდნენ ილიას დიდებუნივანი სულთა და ღრმა პუმიანობით, მისი პიროვნებით აღფრთოვანებული წარფული სიყვარულითა და სითბოთი უკავშირდებოდნენ მას, ჟამთა სვლა ვერ თრგუნავდა მათ ლტოლვას ამ დიდი მოღვაწისაკენ, ლამაზ მოგონებად შთონილი მისი გულუბგი და გულთბილი მასპინძლობით მოხიბლულნი წლებების მანძილზე განაგრძობდნენ მასთან მიმოწერასა და კონტაქტს.

ამ თვალსაჩინო უცხოელ მოღვაწეთა წარმომადგენელია ინგლისელი მწერალი ქალი — მარჯორი უორდროპი, რომელსაც საკუთარ სამშობლოსათვის უყვარდა საქართველო. ათი წლის თავდადებული შრომა შეალია მან ქართული პოეზიის შედეგის „ფეხისტყაოსნის“ თარგმნას, ინგლისელ მკითხველს გააცნო ქართული მწერლობის სხვა მესანიშნავი ძეგლებიც.

მის მიერ თარგმნილი „ქართული ხალხური ზღაპრების“ წინადატევაობაში, რომელიც ინგლისში გამოიცა, მარჯორი უორდროპი წერდა: „რამდენიმე წლის წინათ, ჩემი მისი მიერ დაწერილმა წიგნმა პირველად გააღვივა ჩემი ინტერესი კავკასიისადმი და მის მამაც მშვენიერ მკედრებობასადმი“. ეს წიგნი იყო ოლივერ უორდროპის ნაშრომი „საქართველოს სამეფო“, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობის შედეგად გამოსცა 1883 წელს.

„გვახრებდა ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგხვდებით“, — წერდა ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდა ინგლისელ ქალს მარჯორი უორდროპს, რომელიც საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადებოდა.

მარჯორი უორდროპი პირველად საქართველოს 1894 წელს ესტუმრა. მეროდე კი — 1896 წელს, ამჯერად, ოჯახის თანხლებით. ამ დროიდან დაიწყო ამ სათნო და კლემამოსილი ახალგაზრდა ინგლისელი მანდილოსნის მეგობრობა ილია ჭავჭავაძესთან და მის მეუღლეს ოლა გურამიშვილთან. იგი თვეობით იყო ილია ჭავჭავაძის კეთილშობილური ოჯახის სასტუმრო სტუმარი. სასიყვარულო და სიყვარულით შეპოიარა მან საქართველოს ლამაზ ადგილები. მადლობით აღვსილი ინგლისელი მანდილოსანი ასე წყვილდა ოლას: „ილიას სურათი მუდამ ჰქვას ჩვენს ოთახში, ერთი მინა, ინგლისში და ერთი კი“. ეს წერილი ილიასა და მარჯორი უორდროპის იმეათი მეგობრობის ნათელი დადასტურებაა.

ფილტვებით დაავადებული, სუსტი აღნაგობის მარჯორი, საოცარი ინტელექტით და გულმოდგინებით დეჟანდა ქართული კულტურის, ქართული მწერლობის შესწავლას, რაშიც დიდად დაეხმარა ქართული



### იაკობ გოგებაშვილი

დიდება ილიას მით უფრო იმართება, რაც უფრო ზემდინდელად გაიწივს პართველოზა ნამდვილს ილიას, შეიგნება იმის მდიდარს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგნოზულს იდეალებს, მისს დემოკრატიულს მიზანართულებას, მისს წმინდა ეთიკას სრული ადამიანობისას. ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოცულობითი კიდით-კიდით იმისი ქმნილებებისა, გავრცელებების მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

### ვახსილ ბარსილა

აღტაცებული იყო მოსწავლე თაობა ილიათი. აყვებოდით სიერნობად გამოსულს, შორიანლო მიხედვებით ჩვენს სიამებზე. თუ ერთად ვნახავდით ილიას და აკაის, ჩვენ სიხარულს ნაპირი აღარ უჩანდა. ჩვენთვის ილია იგივე საქართველო იყო, ეწმინდა მებრძოლი, სამშობლო მურაზო სავსე.

რუსეთიდან რომ ჩამოველ, მცირე ხნობით მის რედაქციაში მოვეყვებოდი გარემოში ფრანგულთა, ხელს ვაბრუნებდი წვრილნაწი რედაქციის მუდმივ მუშაკთ: პირისპირ ვნახავდით ილიას, ვუხებდით მასთან. არს კმაყოფილებით მავსებდა იგი სიხალდე.

ვათავიერებდი მეტადრე ღრმად მოქმედებდა ჩემზედ მისი მსჯელობა. მაშრონა წყობა მათემატიკურად თანისთან, ნაფიქრთ წრეებში უნაკლოდ ქვობილი მთელ მსჯელობაში.

კულტურის მოამავე ილია ჰეკეავედი. ილია უგზავნიდა მას ჩვენს ქურნალ-ვაჭრებს, აცნობდა ქართულ ეროვნულ კულტურას.

ქართული კულტურისადმი უზომო სიმბათიით გამსჭვალული უცხოელი მანდილოსანი შორეულ ინგლისში საქართველოზე ოცნებობდა. „ღრმად პატივცემული და უძვირფასესი კენიზა ოლგა, ბევრჯერ ვფიქრობ საქართველოზე, ახლა უფრო კარგათ გავიკანი ქართული ხასითი, მისი კეთილშელოვნება და ავობაც და მოამაველი იქნებ კიდევ მოვალთ და განხავთ. მივიღე „ცნობის ფურცელი“, გვარიანია და იმედი მაქვს, რომ იგიერი“ მალე მივიღო კიდევ“.

საქართველოს უებრო სიღამაზიბა და ქართული კულტურით მოხიბულ მარჯორის ისევე თავდავიწყებით უფერად საქართველო, როგორც მობოლოერი ინგლისი. ყოველივე ლამაზი და ამაღლებული ინგლისში მას საქართველოს აგონებდა. „ნეტავი, თუ ერთხელ კიდევ მოვდივარ საქართველოში, ვით სამშობლო, საყვარელ არს... აქაური სოფელი ისეთი მშვენიერია, თითქოს საქართველოში ვიყო“. — აი რას წერდა იგი ინგლისიდან ოლგა გურამიძის.

გულწრფელად უყვარდა მარჯორის ილია და მისი მეუღლე ოლია, გულით განივდიდა მათ უებრებობას თუ სევდას. მწუხარება და საინოება ზაქსოვილი ოლგასადმი ინგლისიდან გამოგზავნილ წერილში. აი მისი სიტყვები: „გულით უყვებარ, რომ ავადმყოფობდ და თქვენი ძვირფას თვალებს სინათლე აკლიათ. თქვენი მსწერი ამდენათ მშვენიერად, ახელია დავიჯროთ, რომ კარგად ვერ ჰხედავთ. იმედი მაქვს, უძვირფასესი ოლგა, რომ ახლა თქვენი საყვარელი თვლები კარგათ არიან. ნეტა, თუ ძალაში იყოს თქვენი განკურნება“.

დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მარჯორის ილიას ყოველი წარმატება და სიხარული. 1906 წელს მოსკოვში მყოფ მარჯორის კიდევ ერთხელ ხვდა წოლად ილიას ნახვის ბედნიერება. მან გულით გაიხარა სახელმწიფო სამკურნალო წყევრად ილიას არჩევით.

„ღრმად პატივცემული თვადლო ილია“

თქვენ მობობანებულხართ, მოგვლოცავთ გულით თქვენი ამორჩევებზე. ფრთად მოხარული ვიქნებოებით, თქვენი ნახვით, თუ შეიძლება, გთხოვთ მობობანდეთ სადილით პარასკევს საღამოს რვის ნახევარზე. ჩემმა ძმამ უფულოთადსი მოკითხვა გიძლევდა.

თქვენი ღრმა პატივისცემელი

მარჯორი უორდროპი.“  
მარჯორი უორდროპმა ინგლისურად თარგმნა ილიას ნაწარმოებები. მის მიერ თარგმნილი პოემა „განდეგალი“ 1895 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ლონდონში. მარჯორი იქცა ქართული მწერლობის დიდ პოპულარაზარტრად:

„მაშინ, როცა სპარსეთის ოლტერატურას კარგად იცნობს ინგლისელი საქითხებელი, იშვიათია მოიძებნოს ვინმე, რომ ქართულ ოლტერატურაზე იცოდეს რაიმე. საქართველო კი, ნამდვილად ღირსია ყურადღებისა. აქედმისტყუასანი“ რუსული ენისა ეს არის XII საუკუნის უღიღისი პოემა. აი, თუნდაც დღევანდელ დღეს, სპარსეთი ვის ამოუწყენებს გვერდში ბარათაშვილს ან ჰეკეაძეს? უერდა მარჯორი „განდეგლის“ წარსიტყვაობაში. იგი განიხილავდა ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „განდეგლის“ შესახებ კი აღნიშნავდა:

„მათავლი ამბავი დაიწერა წმინდანების შეცდენაზე. მაგრამ „განდეგალი“ ყველასაგან განსხვავდება თავისი საოცარი უბრალოებით. ნაწარმოები არ არის თუარტალური ავეჯულებებისა. იგი დაწერილია პარმონიული სტილით“.

მარჯორი ლუთუნურად, მაგრამ შესანიშნავად აღწესსავდა ილიას მოღვაწეობის სარბილს:

„თავდილი ილია არის ყოველდღიური გაზეთის „ივერის“ გამოცემული, საადგილამაგული ბანკის დირექტორი... დიდი მებრძოტყველი, ორატორი, თავის ერის სოციალური ცხოვრების ყველაზე ძლიერი ფიგურა“.

მარჯორიმ მძიმედ განიცადა ილიას ტრაგიკული დაღუპვა და ოლგას უებედურება. წერილში, რომელიც ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის რედაქციაში პასუხად გაუგზავნია, იგი წერდა: „ძვირფასო მეგობარო! გმადლობ, რომ დავებუხებ ვეპასუხებთ, ვერაბრით დავიჯერებ ჩვენს გაზეთებში დებეჭილი ცნობების სიმართლე. ახლაც ძნელი წარმოსადგინია, რომ ასე სასტიკად მოკლეს თავდილი ილია, რომელიც ავტორიგად გვიყვარდა, და დაჭრეს სათნო და ქეთილი კენიზა ოლგა. გული ნაღველით გვევსება, რა საშინელი დახევისია საქართველოსათვის!“

წიწამურის ტრაგედიათ შეძრა ნათური სულის კეთილშობილი ინგლისელი მანდილოსანი, რომელიც ასე დიდ შეფასებას აძლევდა ილიას დღევანდლს, ფართო ერუღიციასა და პირად ადამიანურ ღირებებს.

### ციხანა მანჩაშვილი,

ილია ვაგვეაძის საგვარისი სახელმწიფოების მენციერ-მუშაკი.

ღვთს ზიზიპა სპარტოპოლი

# ქაჩობადი მარტივი იღიას მასხაბ

მეიღროდ ნაკავიერებნი, ფიქრთა ჭი-  
ნჯილო მკვიდრად ნაკვერი.

ძნელი იყო ილიასთან კამათი. ის  
უფრო ართულენდა მასთან ჰაზრთა  
ქიდილს, რომ მარტვედ იჭერდა მეტ-  
ოქისაგან ნატყორც საბუთს, თავისე-  
ბურად არკალებდა მას და შეუბრუ-  
ნებდა მასვე, მისივე ფანდით აჯან-  
ღარებდა მოპირდაპირს, მისივ ია-  
რალით არყუე-აქანებდა, მუხლზედ  
დასცემდა. მაგონდებოდა ხალხური  
თქმა:

- მდილს გმირი უიარალოდ:
- გაპარტვება, აღსართან!
- გაიმარტოს!
- სად მიხვალ?
- საომრად!
- იარაღო?
- მტერი მოიტანს!

## იაკობ მანსვეტაშვილი

ილია დაბალი ტანის იყო, ჩახხ-  
მული, კარგად ჩასქელბული, ცისრ-  
ხარგული, ერთი სიტყვით, „ბურთი-  
ვით მრგვალი“. როგორც მოსწერ-  
ბულად დაახსიათა ვრ. ორბელიანმა.  
მაგრამ ამ ტანზე, რომელსაც ვერ  
დექვამებთ სილამაზის ნიშნობას,  
იქდა თავი, ილიას თავი, რომელიც  
საბერძნეთში ღირსი და დამაშვენი-  
ბელი იქნებოდა ფიდიუსის ქანდაკე-  
ბისა. წარმოადგინებ მაღალი, გაშ-  
ლილი, გადატყეცილი შუბლი, სწო-  
რი, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმუ-  
ბელი, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგ-  
ვალი მოძრავი ნებტებით, მოკუ-  
მული ტურებით, მოკუმული ისე მა-  
გრად, რომ ქიბლეს არასოდეს არ  
გაჩვენებდა. შემორგვალებული,  
ცრტად წინ წამოწეული ნიკაი და  
თვალეები, ჭკვიანი, მტკუნული, როდესაც  
მეგობრულად გამოიყურებოდ-  
ნენ, ხან არა ამ ქვეყნიურ, ზეიპურ-

ნი, როდესაც შემოქმედების სივრ-  
ცეში დატურავდნენ, ხან მრისხან-  
ნი, ცეცხლის მტრქვეველი, როდესაც  
მტერს შეებრძოდა, — წარმო-  
იდგინებ ყველა ეს და თქვენ თვალ-  
წინ გუყოლებათ ცოცხალი ილია. მა-  
გრამ ეს სურათი არ იქნებოდა სრუ-  
ლი, თუ არ დაუშაბთ კიდევ შემ-  
დეგი: ილია რომ აღაპარკებოდა,  
ეშში რომ შევიდოდა, კამათის ფინი  
რომ გაიჭრებოდა — სახე აენთებო-  
და, თვალეები გაუბრწყინდებოდა,  
გაუნათებოდა რაღაც იდუმალი შუ-  
ქითი, სხვებით, — გეგონებოდაც,  
შინით, გულით სიღრმეში რაღაც  
დედავს, ზვირთებს ისვრის და ტალ-  
ღებით უნდა წაღეკოს თავის მე-  
ტოქე, მოკამათო. ამითი უნდა აიხ-  
ნანს ის ძლიერი დიადექტიკა, რომე-  
ლიც მას ძლივამოსილებდა ანიებდა,  
უძლეველად ჰხდიდა.

## მიხეილ ჯაგახიშვილი

სკოლისათვის ტრადიციად იყო  
გადატყეული, რომ სკოლის უკანას-  
კნელი კლასების მოწაფენი ილიას  
დიდობას (20 ივლისი) აუცილებლად  
უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დი-  
ლით გაღომაში ერთხელ კიდევ და-  
ვარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და  
საგურამოსკენ გავყვით. ილია ჭეჭე-  
ვაქანსან ერთად გადალებული ფო-  
ტოსურათი ეხლა წინ მიდევს. სურა-  
თზე სულ შუ მოწაფე დავითავლი.  
წინ დასვლდებილი თედო მეგრე-  
ლიშვილი მივიძღვის. მას მომღერა-  
ლთა გუნდი მისდევს. ბუთიოდვე კო-  
ლომეტრი გავიარებ და ილიას  
სახლს რომ მივუახლოვდით, მაგაპრ-  
ულის კოლზე მისივე ლექსი დავძი-  
ებთ:  
ქართველი, ხელი ხმალს იყარ,  
მე და გათენდა დიდებისა,

თოფ-იარაღი აიხსი  
დრო მოდის გამარტვებისა.  
წინ ილია გამოგვეგება, გარს-შემო-  
ვეხვით და სიმღერა დავასრულეთ.  
ილიას გაოცებული შევექცირდი. მე-  
გონა, ახოვანი, ჩოხოხანი ან ქულა-  
ქოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი  
ჩვენს წინაშე შუატანის 57 წლის  
კაცი იღდა — სრული, პირსავსე, ჭა-  
ღარაშერეული. ილია გვიღიმიდა,  
გვეაღერებოდა, ვინაობას გვეკით-  
ხებოდა. მერმე წინ გაიჭვიღდა და  
ხალხით სავსე ეწონა შეგვეყა-  
ნა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს  
გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვი-  
და. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს  
მეტი ჭერ არავინ ყოფილიყო. ეს  
ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მას-  
წაღებულმა მეგრელიშვილმა შე-  
მარტვებმა: ილიას ჩემი ნაკლი ჩას-  
ჩურჩულა:

— აბა, ბარათაშვილის ლექსი წაი-  
კითხე; — მითხრა ილიამ. მეტი გზა  
არ იყო, წინდწინვე გავწითლიდი  
და დავიწყე:  
მობრბის არავად არავიანი,  
თან მოსხიანს მთანი ტყიანი.  
მახვითი იხვე ნამდვილი რუსული  
წესით ვიხმარე; ილიამ გაიცინა, არც  
სხვები ჩამორჩნენილან. მე მეწყინა  
და მაშინვე გავჩუმდი, ილიამ თავზე  
ხელი გადამხსვა და დამაწყინარა. ვი-  
დაცამ უთხრა ჩემზე: ჭერ ქართული  
გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ  
მწერლობას ისე ბეჯითად წაწალობს  
და ისე სწერს თხზულებას, რომ მწე-  
რალი უნდა გამოვიდესო.  
— მართალია? აბა შენ იცი, — მი-  
თხრა ილიამ, — ვინმელო არ შეგვა-  
რტყავინო.  
იმ ვილდაცს ენამ უყვალა, თორემ  
მასში მწერლობა აწრადაც არ გა-  
მივიკია.

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
 ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეგება!  
 შენს ძარღვის ცემას მე უურს ვუვადეთ სულგანაბული,  
 დამე თინდება ეგრეთ ჩემი და დღე დამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,  
 გრძნობა გრძნობაზედ შეუბოვრად იძვრის ჩემს გულში,  
 და მე არ ვჩივი, — მიხარია, რომ ეგრეთ მშრდება  
 ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
 ის არი მხოლოდ სავალალო და სამუხარო,  
 რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,  
 რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუწიარო!..

### ილია

6 აგვისტო. 1861 წ.

ყვარელო



## მაი, რა მუხა ნამძნა...

### აკაკი წერეთელი

# გაგოსთხოვარი სიყვავა

ახალმოძრაობის წინამორბედი მა-  
 გრამ საწაღმართოსი და არა საუკუღ-  
 მართოსი, დღეს უკუღმართად მოკ-  
 ლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და,  
 თითქოს, გვეკითხება: „რა დავიზა-  
 ვეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? **გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს,**  
 თავის განსამართლებელი საპასუხოდ  
 ვერა მოვკიხებრება რა!.. და მეც,  
 როგორც ქართველს, მწუხარების გარ-  
 და, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარ-  
 რას ვამბობ და გადავიღვარ სამი-  
 რადლოზე: მშვიდობით, ძმო! — გა-  
 რემოვებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმა-  
 ნეთზე. ნახევარი საუკუნის განმავ-  
 ლობაში ერთ უღელს ვეწყოდით,

ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი  
 მართლ დარჩენა, დაობლება სპი-  
 ნელოა, მაგრამ ემ, არ ღირს პირა-  
 დობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენ-  
 ში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შე-  
 ასრულე და განისვენე სამარადი-  
 სოდ. ამიერიდან იყოფილი ისტორი-  
 ას. შენი საქმეები და დავწლი თა-  
 ვისთავად ილაღადებენ. იმათ ჩვეუ-  
 ლებრივი მითქმა-მითქმა ველარც  
 არას დააკლებს და ველარც რაიმეს  
 მიუმატებს. თუ საქართველოს სიკ-  
 ვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან  
 ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ  
 სასიკვდილოა, როგორც ზოგიერ-

თებს სურთ და ზღონიათ, მაშინ ნე-  
 ტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით  
 წინგაუსწარ მის სიკვდილს და თვა-  
 ლით ველარა ნახავ!

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვ-  
 დილი შენი გახდა მიწეზე ხალხის  
 ამოძრავებისა და ამა, საქართველოს  
 ყოველი კუთხიდან თავმოყრილი  
 გებვევიან გარს!.. და ვინ იცის, ემე-  
 ბა სიკვდილით მაინც განამტკიცო  
 ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწი-  
 რე: ერთობას, თანასწორობას, ძმო-  
 ხასა და სიყვარულს!

მშვიდობით, ძმო!... საუკუნოდ  
 იყოს ხსენება შენი!

### გაფა ფშაველა

# სიყვავა ილია ჭავჭავაძის ცხელარზე

დაილო მგოსანო! უველანი ერთად  
 ვსდები ფიცს წინაშე შენის დიდებ-  
 ულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფ-  
 რიაღებული დროშა არ დავსწიოთ  
 დაბლა, არამედ იგი გვეჭრის მალ-  
 და, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ  
 შენს მიერ ნაანდრებტე იღაღლებს —  
 ძმობის, ერთობის, თავისუფლების

და სიყვარულისას მტკიცედ, შეუ-  
 დრეკლად. ვუწყო, რომ შენი აჩრდი-  
 ლი არ დაიფიწყებს საქართველოს  
 და სხვა გმირებთან ერთად დაბე-  
 დავს ათასში ერთხელ მაინც — გა-  
 იგოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება — გა-  
 ვიწარდენით, ავმაღლდით, თუ და-  
 ვეციოთ უარება და დავცინდით,

და შეგვევედრებს ღმერთს, რათა მო-  
 გვეცეს მან ძალა გაუკეთესებისა, ერ-  
 თობისა, სიყვარულისა, — ჭკუა-  
 გონება ნათელი, რათა არ გაპქრეს  
 შენი სიყვარული, სათაყვანებელი  
 ერი, ლამაზი გარეგნობით, გაღამა-  
 ზდეს ყოფა-ცხოვრების სათანადო  
 წყობილებით.

ნინამართან



რა ხანია წიწამურთან  
ხალხის რისხვა ქუხს,  
რა ხანია წიწამურზე  
წმინდა კრემლი წვიმს...  
შენს ხსოვნასთან, შენს სახელთან  
ხალხი იურის მუხლს  
და მოწვევას გულით სისხლი  
იმ წვეთების წილ...

მაშინ რომ ვერ მოგაირთ  
გულს ტკივილი ფლეთს,  
შენს მიწაზე ეზიარე  
მოწამებრივ ბედს...  
თურმე ჩვენს წინ უმცარო  
უმინჯებდა შუბს  
ქართვლის ბედზე დაფიქრებულ  
უსპეტაკეს შუბლს.

მიჰქრის ათას საფიქრალით  
დარაბტული დრო,  
მაგრამ დღეთა წარმატლობას  
ის ტკივილი სძლევს,  
ზედ რომ ტყვია დაახალეს  
საქართველოს გონს  
ასი რაა! — დაჩინდება  
ათასეულ წლებს...  
იქ, სად მაშინ ჩაიშუბლი,  
იქ, სად გაცვეს ჭვარს,  
მიწას ისე ემძიმება,  
მიწაც ისე წუხს,  
გაზაფხული რომ მოდენის  
ყვავილების ჭარს,  
ნატყვიარი ამჩნევია  
ყუყუროთა გულს...  
...წიწამურთან მოგვცდა მეხი  
იმ უღმერთო წამს...  
მაგრამ ისევ წამოდექი,  
უტოლდები მთას.  
უკვდავების შარავანდედს  
განა ვინ ჰყოფს ხელს!  
კვლავ შრიალებს შენი აზრის  
კვირტმრავალი ხე.

კვლავ ჩაგვემის მოწოდება  
და სიმხნვეს გვგვრის,  
კვლავ მოუხმობს შენი ნება  
ოთარაანთ კვრივს.  
არა, კი არ გვეჩვენება —  
ეს შენი ხმა უღერს,  
კვლავ ავალბე ქართვლის დედას  
მოსავლილად ერს.  
...დღესაც გიხდის შენი ერი  
დაბადების დღეს.  
ეგ სახელი, მშვენიერი  
კვლავ მქუხარედ უღერს,  
კვლავ ასრულებ მაღალ ნებას,  
არ გვანებებ რულს  
და მიუძღვი უკვდავებად  
საქართველოს სულს.



ოჯახმა აიღო იჯარა

# პეოს ჭიჭი, პეოს!



ტიბაანი ერთი ჩვეულებრივი სოფელია სიღნაღის რაიონში. ის უბანი, სადაც ქიტესა დემეტრავილების ოჯახი დაფუძნებულია, არაფრით განსხვავდება სხვა უბნებისაგან, მაგრამ, რა დასაშალოა და, ახლა ყველას, განსაკუთრებით იმით, ვინც ვაზის ყადრი და მევენახის გარჯის ფასი იცის, თვალი აქეთ ეჭირავს. ხუმრობა ხომ არაა, მანამდე თითქმის თავისი სახელივით უპრეტენზიო და უჩინარი ქიტესა მთელს რესპუბლიკაში ცნობილი გახდა. ვერ გეტყვით, რა ძალამ იმოქმედა, მაგრამ ფაქტია: შუბანს გადაცილებულმა კაცმა ერთბაშად მიატოვა მეცხოველეობის ფერმა და 12 ჰექტარი შეჩხერი ვენახი გაიპიროვნა, დაიბ, პატარძალივით მოვლილი, მოსავლით დამიმბებული ზვარი კი არა, მოუღვლეობით გასაცოდავებული ვენახი. სადაც ვაზი შურდულით ნათესი სიმინდით აქაიქ ამოჩრილიყო. ივნებ იმ ამოვადებული ვენახის საცოდაობამ დაუწვა გული, ან აღმამათა გულგრილობამ გაახელა, ადგა და თავმჯდომარეს სთხოვა, მომეცით, ჩემს ნამუსზე იყოს, რა ვენახსაც დავეყენებო.

ისე ყველა სიკეთე ავიხდეთ, როგორც დანაირები შესარულა. ვახმა, მადლიანი მარჯვენის სითბო რომ იგრძნო, თავი გამოიღო, დასისხა და რა დაისისხა! მაგრამ... მოვიდა ახალი თავმჯდომარე და გარჯა ქიტესას წყალში გადაუყარა — ნაწარმ-ნაწყაფარი სანახევროდაც არ უღნახლეთრა, არ შეიძლება...

თითქმის ამით ქიტესას ენთუზიაზმი უნდა განეღებულყო. აბა, იმაზე ძნელი რა არის, შრომას, თანაც ვენახში შრომას რომ არ დაეფასებენ, შეპირებულზე ხელს დაგაბანინებენ, მაგრამ დაილოცა განგება, იმედის ნათელი მიწაც არ ჩაუქრო გლეხკაცს. და რეცა ტიბაანის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს 1983 წელს ბოდბისბეგის კოლმეურნეობიდან 36 ჰექტარი ჩამოჭერილი ვენახი გადასცეს, საწარმოს დირექტორს ჭემალი ხატიაშვილს ისე ეახლა ქიტესა — მე მომეცით, მე ვიცი და ჩემმა კაცობამო. ჭემალიც კარ-



გად იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და დათანხმდა. მალე ეს თანხმობა ოჯახური იჯაროს ხელშეკრულებაში განამტკიცა.

კოლხე გამგებელი სკოლის და ზოგიერთმა გააფრთხილა ქიტესა: — ხომ არ დაგაიწყება, ამ საბოლოო წლის წინ რაც დაგმართეს. მაგ კენახსაც ავაშენებინებენ და შერე მშრალზე დაგვამყენო, ეს უხიაგი „ჩრქევა“ ქიტესამ ერთ უფროს შეეშვა და მეორედამ გამოეშვა. აგერ, მეოთხე წელია, მისი ოჯახის ხუთივე წევრი — თეთრი, მუხლუღე ლიანა, ვაჟიშვილები გელა, ზაური და გიორგი თავის დასტრიალებენ ზეარს, მოვლას არ აკლებენ და ზაურთან საზღვარსაც იღებენ. ცოტა მოგვიანებით ახლო ნათესავი რუსებმა ალდაშვილები შეიამხანავეს. საღალა ის განსაკრებელი იქნა, მხანველს გულმუცელს რომ უმღერევდა. ფანტორიგებთან ზეარში ვის ამაყად მორჩება მხრები, მტკაველა მტკანი უხვად იწოვს შხისა და მიწის მადლს, რომ გამჩრე აღმიახვებს შრომა ასგზის დაღუფასო. თავად განსაჯეთ, შარშან 508 ტონა უფრებენ მარტოურფეს დაგეგმილი 230-ის მაგიერ. მარტო პრემიის სახით ქიტესამ და მისმა თანამეჩინახებმა 56 ათასი მანეთი მიიღეს. ბუღალტერიაში გაპრეს-გამოპრესის საანგარიშის ხელი, დაწერილებით დააჯიფეს დანახარჯები და. პირი საოცრებაჟი საჭრობის სუფთა მოგება 139 ათასი მანეთი დარჩა!

ახლა ვითხოვთ, მომგვინანია თუ არა ოჯახური იჯარა. აგი ვერ კიდევ ვიხიან ავად მოკითხილ ტუბები, რომლებსაც სკიების დასანავა აუა და არ სურთ. დატბი კი გაოჩნებულ ცხენზე ჯიუტია. ქიტესასაც გულში ციყნება მათზე — „ენც რა უნდა თქვასო, წიწკილიმა კი ფქვასო“. და დილაღეთია ლიანა, ქიტესა, გელა, ზაური, გიორგი და რუსებმა სტეფანამ „აგაგულბო“ და ზოგჯერ მიეღო კვირით გადაიკარგებინან ხოლნე. ევენხი მილარში, სოფლიდან 40 კილომეტრზეა დაიკლებული. არის პე-რიოლი, როცა ზეარს განსაკრებულად უფრადდება სკიებთან — სულ შიგ უნდა იტრიალო. შეწამლო, ძირებზეც ქირბილი შეაკო, გოგირდით შეაფრევიო, ელორბე აყიო, ისეც ხდება. შეწამელს დაამთავებ და შესაქნა წყინა წამოვო, წამალს ჩამო-

რეცხავს. მუშინ ძმები ისევე ააგუგუნებენ თავიანთ „ჩინის ხარებს“ და ხელახლა დაუწყებენ რგთაპირისებს. მთავარია, უფრემის კარგად მოხვდეს შაბიამანი, მუშინ ვერც ჰია დააკლებს რამეს და ვერც ნაცარი. ჰიბში კი ოჯახის დედა ფუსფუსებს — ნაიფუ ჰიბ-შვილსა და მახლს გემრიელ სალდს უშხადებს. შრომულ ადამიანს ნაიფური საყვირებს სკირდება. ამა, როდის იყო, ცარიელი ტომარა ფხვხე დგებოდა.

ვესაუბრები ქალბატონ ლიანას, მის ვაჟაკებს. ოო, რა მოუღლეოა ეს ხალხი შრომამში და რა სიტყვათა — სუბარში! მაგრამ სათქმელსაც როგორ მოხიბოლად ამბობენ, თითქოს ესეც საწვევასა პიბი მასალა იყოს და დაწავა ესაბრითობისა სწორად ამითხეა ზედგამოჭრეო — ცოტა სიტყვა და ბეგრი საქმეო...

მაინც მაყვირებს ძმების მიმდომება. ხომ შეეკლოთ, ზოგიერთებიდან სხვა უფრო იილა საქმეს მოკიდებოდნენ რატომ მიჩინდა ვენახმა ასე ანდამატიეთი და უნებურად მახსენდება მამაჩემის ძველი ჩანთა — მუხიგან გახუტებულ-გახერკილი. იმ ჩანთის ყოველთვის მოუთმენლად ველოდი, რადგან შუა მიჩინებლი შოთის პურის ნატები და ყველი მგებულებოდა. მერე, რა საოცარი გემო და სურნელი მქონდა! ერთმანეთში იყო. შეხვევებოა მინდრისა და შხის მხურავლება. ქვეყნად მაიაოლაც არ არსებობდა იმ პურის და ყველს უკეთესი. წეროლად იმ პურის ნატები ჩახუტებული სასიამოვნო საიდუმლოება მზიხადება, მეძადა მინდრებისა და ენახებისაყენ, სადაც ათასნაირ ფირნელებს ჩარფუხანა ჩაება.

ეგებს ზღმებტი იყოს ეს „ლორიკული გადახვევა“, მაგრამ ალბათ ვიგორი განცდა არც გეულს, ზაურისა და გიორგისათვის არის უცხო. იუნებ ამბოციმე მოუწევი ხოლმე გულს მილარისაყენ, რომ ერთხელ თოდვე შეიცნონ ბუნების საოცრება.

ახლა მილარში რთვულია, ხარკია, მსუყურ რთული. ჰექტრზე 15 ტონა უფრებენ კრეფენ. მარტო ექვსი კაცი როგორ აუვა ამდენ მოსავალს და ტრბაანულებიც ხალხსიანად ენახებთან ქიტესაშვილებს: ცნობის წაღლი თვისისა აყეთეს და პარტის


რაიკომის ინსტრუქტორს ბონდო ბოლდაშვილს ვეითხები, რაიონის სულ რამდენი ჰექტარი ევენხი ექვს-მეთქი. — სამი ათასსამეტი, — მასსხოზბს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლერი ბეგიაშვილი, გამოდის, რომ ქიტესაშვილებისთანა 80 ოჯახი ყელამდე აუვა საქმეს. ახლა კი, არც თუ იშვიათად, კოლმურერობებისა და საბჭოთა მუქურნობების მთელი პერსონალის გარდა, წარმოება-დაწყებულებების შეშაკებტი ევენახებში ტრიალებენ.

ესეც ერთი მაგალითი სტატისტიკის! ბარემ ისიც ვთქვათ, რაში დახარკავენ ქიტესაშვილები იმ ათსებს, დასახურებულად რომ იღებენ საწარმოდა. ქალბატონი ლიანა ახლა კი ხალხისანად შეგებინა:

— ორსართულიანი სახლი გვედგას, მაგრამ ვეღარ ვებტებო, აღარ გყოფნის. უფროსი ბიჭი გელა დაოჯახებულა, ცოლი ჰყავს. ხომ უნდა დავასალოთ ცალკე — უნდა დავასალოთ. სოფლის შემოსაველში ჩვენნი ნაყვეთა, იქ ავუშენებთ სახლს, მასსალა, ქვა-კვიშა მოტანალი გვაქვს. აი, ჩავათავებთ რთვულს და საბრკველსაც გავკრით. მომდევნო ზარიც საცოლვა. ამა, გულს ხომ არ ვატყენო მერე იმასაც ცალკე დავუდგამთ სახლს. გიორგი ჩვენთან დარჩება...

საოცრად აღერსიანი ხმა და თვალები ევენც ოჯახის დედის. არც მალე, რომ მამაყება წვილების გამო. მეც გაღამებულს მისი სობარული — დაე, გამარჯვდეს ქიტესაქონი და ჯალაგი, რადგან ვეგრო, ძირხა-გარ საბირზე თამში ამონაყარო აზოვა, მერე ისინი გააგრძელებენ მულაბიოულულ ოჯახის საქმეს, გააოლეგრებენ საყეთარ ჰაზისაყ და ქვეყანასაყ.

...ხოო, რა საოცარია შემოდგომის შეზინდება ცახეთში. მინც რამ მოიყენა აქ ამდენი კიქინიბელა, რა საამაროდ იმისი მათი ჭკობინი. ეს ქათუთა ევენა მთავრეკ როგორ გულდავალ ანათებს შუტებს და ორლობებს, რომელთა ვაგლით ბაღ-ვენახებინად დაბრული მოსავალი უწეკნად ნაკადდ მიგმართება მარნებისსაყენ...



ნორა ტარბელაშვილი, გაკეთილზე  
მ. იაკობაშვილის ფოტო

# უკან მობრუნ- ნაბრუნ რეაბი

ლია პაბაბაძე

სახეში იმდენი სინათლე აქვს, რომ ვგრძნობ, სახესა სიკეთით. ხელები დაკოფურებია ბარისაგან — ბოლიშობს და ხელისგულებს უხერხულად იწეოს. ვიცი, სოფელ თელათგორთან პირველი ექსპერიმენტული სკოლის კოლექტივს ნაკვეთი გამოუყვეს — იქ თონის და ბარავს, თესავს და მოსავალს იღებს შემოდგომაზე. სარჩო მთელი წელი ჰყოფნის (კარტოფილი, ბოსტნეული თუ ხილი). იქ კობა სახლი უდგას, რომელიც დასთან ერთად ააშენა. როცა ოთახები გამართეს და მოაწვეეს, დედა და დისშვილი მანინ მოიწვიეს. დედას მიწაზე, ნარგავებს შორის გავლა ეამა და უეცრად ფეხიდან მთელ ტანში დენივით დაუარა იმ ძალამ, ადრე, უმანვილ ქალსა და ჭარისკაცის ქვრივს, სოფელ ერედვეში შაქრის ჭარხის ნაკვეთში რომ აშრომებდა. აი მანინ განდა საბჭოთა კავშირის უმადლესი საბჭოს დემუტატი. მისი შვილი ნორა ტარბელაშვილი კი აგერ ოც წელიწადზე მეტია თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში გეოგრაფიას ასწავლის და შარწან წლის საუკეთესო პედაგოგად აღიარეს.

„გეოგრაფიის კაბინეტში ვჯივარ,



ჩართულია მაგნიტოფონი და მესმის ბიჭის ნორჩი, შემკრთალი ხმა:  
„პატივცემულო მასწავლებლო, მე არ მინდოდა თქვენი წყენინება, მაგრამ უველაფერი უნებურად მოხდა, მოვიდილი წვიმაში, ჭაჭაზე გალუმული ლდევი ამედელდა. მეც ფერება დაფუწვე და ვაკვეთილზე დამაგვიანდა. პირობას გააღვეთ აღარ დავაგვიანებ“.

რას იზამ, ბიჭს სეთისიაკენ გაუწია გულმა და დანაშაული ენატყიება!

ახლა სხვა ხმას ვისმენ, ის ვაჟაკური, დაჭერებული და უფრო ბობი:

„ნორა მასწავლებლო, მივიღვივართ, მაგრამ მუდამ გვემხსოვრება. თქვენი დავიწყება შეუძლებელია. თქვენი შეგვაყვარო სკოლა, საგანი, მეგობრები, სიმართლის თქმა, გატანა... თუ რამ კარგია ჩვენში, თქვენი დამსახურებაა. და აი, თქვენგან დალოცვები მივიღვივართ...“

ეს ხმები ერთდიაღვივე ბიჭს ეკუთვნის. პირველად იგი ათი წლისა იყო, მეორედ — ჩვიდმეტისა.

მოსულან, უსწავლათ, წასულან. ნორა ტარიელაშვილს მათ სანაცვალად ეს ხმები დაჩრქნია. კაბინეტი სავსეა ამ „დეკორაცი“ ხმებით. აქვეა დიაფილმები, გადაღებული სკოლის ეზოში, გაკვეთილზე, დიერფანში, ლაშქრობებში — სვანეთში უშეგულთან, კარვის გაშლისას, ვახშობისას, აღიშნი კოცონთან 2 500 მეტრზე, რაჭის მაღალმთიან სოფელში. შვიდანი მეტრზე კილომეტრზე გეოგრაფიის ინსტრუქტის თანამშრომლებთან შეხვედრისას, მეცნიერებთან დამეგობრებისას, დასამუშავებელი თემების არჩევისას, ღამისთებისას მუენვართან, კავკასიონის სიღამაშიო ტკობისას.

დიაფილმებზე მთელი საქართველო ასახული — ამ სკოლის მოსწავლეთაგან შემოკლილი. ეს ბავშვები მხოლოდ ნორას სადამრიგებლო კლასის მოსწავლენები კი არ არიან, არამედ უველანი, ვისთვისაც გეოგრაფია უსწავლენია. მთავი თუ მდინარის პირას კარავი გაუშლია, დაქანებულ ბილიკებზე ფეხები, თუნდ ცხენით უტარებია. ზურგჩანთა აუ-

კიდებია და იმდენი უცდია, მათთვის საოცნებო ფრთები გაუშლია — მოგზაური. მკვლევარი, გეოგრაფი რომ გამოსულიყვნენ. და უველანი კინოფილმებში და დიაფილმებში მოკალათებულან.

ნორა მასწავლებელს დარჩა უამრავი აღბომი — ბავშვთა ჩანაწერებითა და სათაურებით: „მე და ჩემი მშობლები“, „გვერდით მეგობარი მიზნი“, „გეოგრაფია და ოცენება“, „რა მომწონს და რა არ მომწონს“. ეს ფურცლები დღესაც სულმოყოფმელად იკითხება, ნორას უფვარს მათი თვალიერება, რადგან მაშინვე შემოკრებიებიან მის ირგვლივ ის თვალმახრები...

კაბინეტში ჩვენს მეთი არავინაა, მაგრამ მაინც ბევრის თბილი სუნთქვა მესმის, რადგან იგი სავსეა მოსწავლეთა შემოქმედებით — ნახატებით, ლექსებით, სიმღერებით, შემოწირულებებით. ბიბლიოთეკისათვის მოტანილი წიგნებით, ყოველი ლაშქრობისა თუ ღონისძიების ამსახველი აღბომებით, ცვლავ კინოფილმებით, რომელთა მთავარი ოპერატორი და რეჟისორი ნორა მასწავლებელია, რომელსაც მოსწავლენები ამ სამუშაოს შესრულებისას ვერც კი ამჩნევდნენ.

აღბთ, რომ გავთხოვილიყავი, ამდენი დრო არ მექნებოდა ბავშვებისათვისო, — ამბობს ნორა და ჩანაწერებს მაწვდის, რომლებიც ბავშვებს თვითონ დაუწერა:

„თქვენ მებუთე ოქიანე გიწოდეთ, მართლაც მაკონებთ მშვეთვარე ოქიანეზე. ზოგჯერ კი ბობოქარ ვულკანს უფრო მეგვართ. თუშუა ირრის ვეცს სიწყნარის პერიოდ. თქვენ კი არა, მოუსვენრებო!“

ბავშვი ცელქი უნდა იყოს, მას თავისი სამყარო უნდა ჰქონდეს, იგი რაღაცას უნდა ესწრაფოდეს, ოცნებობდეს, იბძოდეს...

